

რ ე ც ე ნ ზ ი ა

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ბ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ფერეიდნელი ქართველის ახალი „მოგზაურობათა წიგნი“

აბოლყასემ აჰმადი-მიანდამთი

„ერთი ქართველის მოგზაურობა ზაგროსიდან კავკასიამდე“

გამომცემლობა „ჯეჰან-ე ანდიშე-ე ქუდაქან“, ყუმი, 1403 (2024)

„საფარ-ნამე“ ანუ „მოგზაურობის წიგნი“ სპარსულ მწერლობაში საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. გავიხსენოთ მე-11 საუკუნეში სხვადასხვა ქვეყანაში ნასერ ხოსროს 7-წლიანი მოგზაურობის წიგნი ანდა ყაჯარების პერიოდის მრავალი „საფარ-ნამე“, რომლებშიც საქართველოს აღწერაც ხშირად მოხვედრილა.¹ მოგზაურობის მოყვარული ირანელები ახლაც არ იზარებენ საკუთარი შთაბეჭდილებების დაფიქსირებას და გავრცელებას ირანულ პერიოდიკასა თუ სოციალურ ქსელებში. ნაბეჭდი წიგნის სახით კი ჩვენს დროში სპარსულენოვან „საფარ-ნამეებს“ უფრო იშვიათად ვხვდებით.

ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს ფერეიდნელი ქართველის აბოლყასემ აჰმადი-მიანდამთის წიგნი „ერთი ქართველის მოგზაურობა ზაგროსიდან კავკასიამდე“, რომელიც შარშან გამოსცა ქალაქ ყუმში მოქმედმა გამომცემლობამ „ჯეჰან-ე ანდიშე-ე ქუდაქან“ (ქართულად: ბავშვთა აზროვნების სამყარო). ამ მოგზაურობის წიგნში დეტალურადაა აღწერილი ავტორის 10-დღიანი ყოფნა საქართველოში 2018 წლის აპრილ-მაისში.

ვიდრე წიგნის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, თავად ავტორის პორტრეტს წარმოვადგენთ: 1972 წელს დაბადებული აბოლყასემ აჰმადი-მიანდამთი თავის მშობლიურ ფერეიდანში, ქალაქ ბოინ-მიანდამთში² ცხოვრობს მეუღლესა და ქალ-ვაჟთან ერთად და იქვე მუშაობს ქვის დამამუშავებელ საამქროში. სამსახურისაგან თავისუფალ დროს იგი უთმობს ფერეიდნელი ქართველების ენის, ისტორიის, კულტურისა და ეთნოგრაფიის შესწავლას, აგროვებს და აფიქსირებს შესაბამის მასალას, მონდომებით თანამშრომლობს ფერეიდნის თემატიკაზე მომუშავე ქართველ სპეციალისტებთან. მიუხედავად იმისა, რომ იგი თვითნასწავლი მკვლევარია, მისი 2 სამეცნიერო სტატია დაიბეჭდა ირანში გამომავალ საერთაშორისო ყოველკვარტალურ ჟურნალში „Le Linguiste“ (لسان شناس), ხოლო 1 სტატია საქართველოში:

1. „ირანის ქართველების გადასახლება, ყოფა-ცხოვრება, ენა და ფოლკლორი“.³

¹ „საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში“, კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან წერგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ. „არტანუჯი“, 2016.

² ამ დასახლებას ფერეიდნელი ქართველები ქართულად უწოდებენ „თორელ“-ს.

³ აბოლყასემ აჰმადი-მიანდამთი, „ირანის ქართველების გადასახლება, ყოფა-ცხოვრება, ენა და ფოლკლორი“ (ირანში გამომავალი ყოველკვარტალური ჟურნალი Le Linguiste,

2. „ფერეიდნის ქართველები და ქართული ენის განვითარება ოთხასი წლის მანძილზე“.⁴
3. „ქართული საფლავეები ისპაჰანის წმინდა ნერსესის სომხურ ეკლესიაში“.⁵

აბოლყასემ აჰმადი-მიანდაშთიმ ხელი შეუწყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული რამდენიმე პროექტის წარმატებას, როგორიცაა „ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე“ (გრანტი № HE17_28), „ქართული ენობრივი კუნძული ტრანსეთნიკურ არეალში (GLITEA) – ფერეიდნული დიალექტი ირანში“ (გრანტი N 217438). იგი დაუზარლად ეხმარება ფერეიდანში ჩასულ ქართველ მკვლევრებს, გულითადად მასპინძლობს საკუთარ სახლში, მუდმივად აწვდის მათ ახალ ცნობებსა და მასალებს ირანის ქართველობის ისტორიისა და დღევანდულობის შესახებ.

თავის „საფარ-ნამეს“ აბოლყასემ აჰმადი-მიანდაშთი იწყებს ასეთი სტრიქონებით:

საქართველო, შენ ხარ ჩემი სამშობლო,
მე ვარ შენი დაკარგული შვილი.
საქართველო, შენ ორი ზღვას შუა ხარ,
ფერეიდანი ხიდია ორი ქვეყანას შუა.
საქართველო, შენ დიდი ზღვა ხარ,
ფერეიდანი არის შენი გულის წყარო. (გვ.3).

წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის დოქტორ ალაჰვერდი აზარი-ნაჯაფაბადს (გვ.7-12), რომელიც გახლავთ ზემოხსენებული ყოველკვარტალური ჟურნალ „Le Linguiste“ -ის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. მან სრულად დააფინანსა ჩვენი ირანელი ქართველის მგზავრობა - აულო თვითმფრინავის ბილეთი და მისცა სახარჯო ფულიც. თავიდან გადაწყვეტილი იყო, რომ ბ-ნი აზარი-ნაჯაფაბადიც წამოვიდოდა საქართველოში, მაგრამ გამომგზავრებამდე ერთი დღით ადრე, მეუღლის შეუძლოდ ყოფნის მიზეზით, მან გადაიფიქრა ვიზიტი და ა.აჰმადი-მიანდაშთი მარტო გამოფრინდა საქართველოში.

დ-რ აზარი-ნაჯაფაბადის წინათქმას მოსდევს „საფარ-ნამეს“ ავტორის წინასიტყვაობა (გვ.13-24), რომელშიც წარმოდგენილია ქართველების ირანში გადასახლების მოკლე ისტორია, თავად ავტორის კვლევა-ძიების მიმართულებები და შედეგები.

შემდგომ მოდის მოგზაურობის დეტალური აღწერა, რომელიც იწყება ავტორის მშობლიური სახლიდან და ყუმისა და თეირანის გავლით, გრძელდება საქართველოში. ასევე დაწვრილებით აღწერს ავტორი თბილისიდან შინ

Revue internationale en sciences du langage, N 16, 2016 წლის ზამთარი, გვ.59-70). (სპარსულ ენაზე).

⁴ აბოლყასემ აჰმადი-მიანდაშთი, ფერეიდნის ქართველები და ქართული ენის ცვლილებები ოთხასი წლის განმავლობაში“ (ირანში გამოშვებული ყოველკვარტალური ჟურნალი Le Linguiste, Revue internationale en sciences du langage, N 24, 2018 წლის ზამთარი, გვ.113-126). (სპარსულ ენაზე).

⁵ კრებული: „ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე“. (რედაქტორები: ნიკოლოზ ნახუცრიშვილი და გიორგი სანიკიძე), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019. გვ.123-134. (სპარსულ ენაზე).

დაბრუნებას. ტექსტის ამ ნაწილში ჩართულია მოგზაურობის ამსახველი ფოტოები (გვ.25-93).

წიგნს ერთვის ა.აჰმადი-მიანდამთის მიერ შეგროვებული ადგილობრივი ლექსები, სააკვწო სიმღერები და ანდაზები ფერეიდნულ კილოზე და მათი სპარსული თარგმანი (გვ.94-111). კიდევ ერთი ფოტო-დანართი წარმოგვიდგენს განვლილ წლებში ქართველ მეცნიერებთან და სტუმრებთან ურთიერთობის ისტორიას (გვ.112-125). შემდგომ დართულია ძველი ფერეიდნული საფლავის ქვებისა და დოკუმენტების ფოტოები (გვ.126-140), რაც უეჭველად დააინტერესებს ქართველ აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტებს.

ავტორი მაღლიერებით მოიხსენიებს ყველა პიროვნებას, რომლებიც მასპინძლობდნენ მას საქართველოში. ყველა მათგანის ჩამოთვლა გადატვირთავს ამ რეცენზიას, მაგრამ უსათოოდ უნდა ვახსენო აწ გარდაცვლილი პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე (წმინდა (ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი) და დოქტორი მარინე ბერიძე (თსუ-ს არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი), რომელთა ღვაწლსაც ბ-ნი აჰმადი-მიანდამთი განსაკუთრებით აღნიშნავს.

ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს, სადაც ჰქონდა შეხვედრები მეცნიერებთან და სტუდენტებთან. ესაა ზემოთხსენებული ორი უნივერსიტეტი, ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ.წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ა.შ.

საქართველოში 10-დღიანი ვიზიტის ფარგლებში ავტორმა მოინახულა მრავალი ისტორიული ადგილი თბილისში, მცხეთასა და ქუთაისში, ასევე ნოსტეში, ერთაწმინდასა და მეტეხში, რაც ასევე დაწვრილებით აქვს აღწერილი.

ყოველივე ზემოთქმული მეტყველებს იმაზე, რომ ამ წიგნის მეშვეობით ირანელი მკითხველი გარკვეულ წარმოდგენას შეიქმნის საქართველოს ისტორიაზე, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ქართველ მეცნიერებზე.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავისი ნაშრომი დაუგზავნა ირანის მრავალ კვლევით ცენტრსა და ბიბლიოთეკას, რასაც უკვე მოჰყვა ირანელ მეცნიერთა დადებითი გამოსმაურებები სოციალურ ქსელებში. წიგნის ერთი ეგზემპლარი ცნობილმა იაპონელმა ირანისტმა ჰიროტაკე მაედამაც მიიღო. თეირანში საქართველოს საელჩოს დახმარებით, ტირაჟის ნაწილი საქართველოშიც ჩამოვიდა და ღარიგდა ქართულ უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში.

წიგნის მცირედ ნაკლოვანებად მიმაჩნია ის, რომ სარჩევში გარკვევით არ ჩანს, თუ ვის კალამს ეკუთვნის ორი წინასიტყვაობა.

კიდევ ერთი შენიშვნა ჩნდება ავტორის თხრობის სტილის მონოტონურობის მიმართ. ეს ვლინდება მგზავრობისა და ყოფითი საკითხების ზედმეტად დეტალურ აღწერაში, რაც ბევრს არაფერს აძლევს მკითხველს.

ასევე მიმაჩნია, რომ, მიუხედავად წიგნის ავტორის წინაშე დ-რ ალაჰვერდი აზარი-ნაჯაფაბადის დიდი დამსახურებისა, მისი წინასიტყვაობა, დაწერილი ე.წ. მაღალი სტილით, არ მიესადაგება ა.აჰმადი-მიანდამთის მოგზაურობის წიგნის ერთიან და სადა ქარგას.

ზემოთქმული არ აკნინებს აბოლყასემ აჰმადი-მიანდამთის მოგზაურობის წიგნის მნიშვნელობას. მას ყურადღებით გაცნობიან როგორც საქართველოთი

დაინტერესებული ირანელი მკითხველები, ასევე ქართველი ირანისტები. იმედს გამოვთქვამ, რომ ავტორი გააგრძელებს დაუღალავ შრომას და კიდევ მრავალ სიახლეს შემოგვთავაზებს ირანის ქართველების ენის, კულტურის, ისტორიისა და დღევანდლობის კვლევის სფეროში.

